მიგრაციის ზეგავლენა მოლდოვასა და საქართველოში მიგრანტთა მიერ დატოვებულ ბავშვებსა და ხანდაზმულებზე

მიგრაცია კომპლექსური ფენომენია, რომელიც ხშირად მისგან მომდინარე სარგებლის ან/და საფრთხის კონტექსტში განიხილება. მიგრაციის თემაზე საზოგადოებრივი დისკურსის ზრდის მიუხედავად, მცირე რამაა ცნობილი თავად მიგრაციის პროცესის შესახებ: რამდენი ადამიანია მიგრირებული? როგორია მათი ყოფა ემიგრაციაში და მათ მიერ „დატოვებული“ ოჯახის წევრების ყოფა ადგილზე? როგორია მიგრაციის შედეგები და სხვ. ?

ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხის გაცემასაც ორწელიწადნახევრიანი კვლევითი პროექტი „მიგრაციის ზეგავლენა მოლდოვასა და საქართველოში მიგრანტთა მიერ დატოვებულ ბავშვებსა და ხანდაზმულებზე” ისახავდა მიზნად. კვლევა, რომელიც ევროკომისიის მიერ იყო დაფინანსებული, განხორციელდა მაასტრიხტის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლის (ნიდერლანდები) მიერ, კიელის მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტთან (გერმანია) და სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრთან (საქართველო) თანამშრომლობით. კვლევითი პროექტი ერთდროულად ხორციელდებოდა მოლდოვასა და საქართველოში და იყენებდა კვლევის შერეულ მეთოდებს: ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა რეპრეზენტატული შინამეურნეობებისა და თემების კვლევა, მიგრანტთა ოჯახების წევრებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები, ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფების გამოკითხვა.

აღნიშნული კვლევის მეთოდების გამოყენებით, პროექტმა:

1. წარმოაჩინა საქართველოდან ემიგრაციის საზღვრები და მახასიათებლები;
2. გამოააშკარავა მიგრაციის ზეგავლენა განსაკუთრებით მიგრანტთა მიერ „დატოვებულ“ ბავშვებსა და ხანდაზმულებზე;
3. შეაფასა მიგრაციის უარყოფითი შედეგების შემცირების და მიგრაციის პოზიტიური ზეგავლენის ზრდის შესაძლებლობები „დატოვებულ“ ოჯახის წევრებზე;
4. შექმნა „დატოვებულ“ ბავშვებსა და ხანდაზმულებზე მიგრაციის ზეგავლენის პირველი მონაცემთა ბაზა, რაც შესაძლებელს ხდის ამ მიმართულებით პოლიტიკის განსაზღვრისათვის აუცილებელი პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

საქართველოსთან მიმართებით, პროექტმა შეძლო დეტალური და თვისებრივად ახალი მონაცემთა უზარმაზარი რაოდენობის შეგროვება, მიგრაციის თანამედროვე ტენდენციებისა და „დატოვებულ ოჯახებზე“ მათი ზეგავლენის შესახებ.
ინფორმაციის შეგროვება ხდებოდა შემდეგი კვლევითი აქტივობების მეშვეობით:

- ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული რეპრეზენტატული 4,011 შინამეურნეობის კვლევა, რომელიც ჯამში 16,225 ინდივიდს აერთიანებდა;
- თემების კვლევა, რომლებიც 150 ქალაქსა და სოფელს მოიცავდა;
- ჩაღრმავებული ინტერვიუ მიგრანტთა 34 ოჯახთან;
- ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიზნობრივი ჯგუფების 15 წარმომადგენლის გამოკითხვა.

შინამეურნეობების კვლევამ წარმოადგინა განსაკუთრებით მდიდარი ანგარიში თანამედროვე მიგრაციის რაობის შესახებ. კითხვარი მოიცავდა ინფორმაციას შინამეურნეობების დემოგრაფიული კომპოზიციის, ცხოვრების მატერიალური პირობების შესახებ (დასაქმება, შემოსავალი, ხარჯები, ქონებრივი და საბინაო საკითხები) და 1999 წლიდან მოყოლებული ოჯახის თითოეული წევრის მიგრაციის დეტალურ ისტორიას. კითხვები აგრეთვე შეეხებოდა ინფორმაციას ბავშვების შესახებ (მათი ჯანმრთელობა, განათლება, მათდამი მზრუნველობის პრაქტიკა) და ინფორმაციას მოხუცების (მათი ჯანმრთელობის, შრომითი ისტორიის, გადაადგილების, სოციალური ინტერაქციის) შესახებ.

კვლევის განმავლობაში შეგროვილი მონაცემები შესაძლებელს ხდის სიღრმისეულად წარმოჩინდეს თუ რაოდენ დიდი გავლენა შეიძლება ქონდეს ოჯახის რომელიმე წევრის მიგრაციას „დატოვებულ“ ოჯახის წევრთა ცხოვრებაზე.

პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია მაასტრიხტის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლის ვებ-გვერდზე: http://mgsog.merit.unu.edu/research/moldova_georgia.php

პროექტის უშუალო განმახორციელებლეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ელ-მისამართზე: migration-mgsog@maastrichtuniversity.nl